# იაპონიის მთავრობის მიერ დაფინანსებული „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ ფარგლებში ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ გრემში სასმელი წყლის ჭების მოწყობის პროექტის საზეიმო გახსნის ცერემონია

2016 წლის 14 დეკემბერს სოფელ გრემში გაიმართა “ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ გრემში სასმელი წყლის ჭების მოწყობის პროექტის” საზეიმო გახსნის ცერემონია, რომელიც განხორციელდა იაპონიის მთავრობის „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ ფარგლებში. ცერემონიას დაესწრნენ იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ბატონი ტოშიო კაიტანი, ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი ილია მზექალაშვილი, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ჯემალ შავერდაშვილი.

პროექტი განხორციელდა საქველმოქმედო კავშირი თემის  მიერ ყვარლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მთავრობის ხელშეწყობით. პროექტი უზრუნველყოფს სოფელ გრემის 1200-მდე მოსახლის და თემის ბენეფიციარების უწყვეტ მომარაგებას სასმელი წყლით. ამ პროექტისთვის იაპონური გრანტი 71 729 აშშ დოლარს შეადგენს.